საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

კონკურსი

„ტურისტული გიდებისთვის კულტურის სფეროში სპეციალური ტრენინგ მოდულის შემუშავება“

საკონკურსო პირობები

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

კონკურსის „ტურისტული გიდებისთვის კულტურის სფეროში სპეციალური ტრენინგ მოდულის შემუშავება“ (შემდგომში – კონკურსი) მიზანია:

ა) პროფესიული სტანდარტის ჩარჩო სასწავლო დოკუმენტის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს კულტურის სფეროში დასაქმებული გიდების კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას;
ბ) კულტურული ტურიზმის მიმართულებით დასაქმებული გიდებისათვის ახალი სტანდარტების დამკვიდრება.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქართველოში რეგისტრირებულ სხვა იურიდიულ პირებს (შემდგომში – კონკურსანტი).
2. ცალკეულ კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.
3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ქართულენოვანი თარგმანი. ქართულ ენაზე თარგმნილი დოკუმენტები სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული (გარდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენებიდან თარგმანისა).
4. კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო/საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული პროექტის/ღონისძიების (შემდგომში – პროექტი) დაწყების თარიღი განისაზღვრება: არაუადრეს 2021 წლის 20 ოქტომბრისა პროექტების დასრულების თარიღი განისაზღვრება არაუგვიანეს 2021 წლის 20 დეკემბრისა.
5. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში–სამინისტრო) მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს.
6. კონკურსში უპირატესობა მიენიჭება პროექტს:
   ა) რომლის წარმდგენ კონკურსანტსაც აქვს სასწავლო ტრენინგ პროგრამების შექმნისა და განხორციელების გამოცდილება;
   ბ) რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე კომპონენტიანი კომბინირებული პროგრამის შექმნას, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნის შეძენისა და საჭირო უნარების გამომუშავებისათვის;
   გ) რომელიც ითვალისწინებს ამ დარგში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) **განცხადება** – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის სახელზე (შემდგომში–მინისტრი), მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის (დანართი N1) შესაბამისად;

ბ) **ინფორმაცია პროექტის შესახებ** – მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის (დანართი N2) შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ბ.ა) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას;

ბ.ბ) პარტნიორების ფინანსური, ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შესახებ ინფორმაცია და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ.გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ (გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისა);

ბ.დ) ინფორმაცია განმცხადებელი იურიდიული პირის მიერ შესაბამისი პროექტების განხორციელების ან/და შესაბამის პროექტებში მონაწილეობის გამოცდილების შესახებ.

2. კონკურსანტი უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია მხოლოდ კონკურსის ფარგლებში საპროექტო/საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.
3. კონკურსანტს, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენისას, ხარვეზის აღმოსაფხვრელად, განესაზღვრება 2 სამუშაო დღე, რომლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია რჩება განუხილველი.

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

1. სამინისტროში კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებულ ინფორმაციას პროექტის შესახებ განიხილავს და შეაფასებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

2. კონკურსის ფარგლებში მოწონებული პროექტების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, 30 ქულის ფარგლებში.

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან	0–10
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა)	0–5
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში	0–5
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება	0–5
5	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის რეალურობა[1]	0–5
სულ		**30**

3. პროექტების შეფასების შედეგად, საკონკურსო კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ) პროექტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხით ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

[1]1 თუ პროექტი სრულად ფინანსდება პროგრამის ფარგლებში, პროექტის შეფასებისას მაქსიმალური ქულაა 25.

გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) პროექტის კორექტირების შესახებ.

4. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს იმ პროექტის დაფინანსების შესახებ, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც პირველი და მე-2 კრიტერიუმების შეფასებით დააგროვებს ქულათა უფრო მაღალ ჯამს.

5. პროექტის ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კონკურსანტს მოსთხოვოს პროექტის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, რაც კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. ამ ვადის დაუცველობის, ან ამ ვადაში დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტი კონკურსიდან მოხსნილად ითვლება. მოცემული მიზეზით კონკურსიდან მოხსნის შესახებ ინფორმაცია კონკურსანტს ეგზავნება საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ.

6. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან, დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.
7. დასაფინანსებელი პროექტის/პროექტების განსაზღვრისა და შესაბამისი ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში კონკურსში გამარჯვებული პროექტის განმახორციელებელ პირთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.
8. დაფინანსებული პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით, წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნით შემდეგი პირობებით:

ა) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 25% -ის ოდენობით;

ბ) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90%-ის ოდენობით.

მუხლი 6. კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება 2021 წლის **24 სექტემბრიდან** 2021 წლის **4 ოქტომბრის** 12:00 საათამდე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4 მატერიალური სახით ან სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@culture.gov.ge ელექტრონული დოკუმენტის სახით;
კონსულტაციები შესაძლებელია სამინისტროს ცხელი ხაზის საშუალებით ტელ: N: 032 2 022229 ან მობ.: 555483639, 577470691;
2. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე არაუგვიანეს **2021 წლის 15 ოქტომბრისა.**
3. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაუბრუნდება.

შენიშვნა: მიმდინარე წლის 3 ივნისის შემდეგ სამინისტროში შემოტანილი საპროექტო განაცხადები განიხილება შესაბამისი კონკურსის ფარგლებში და არ საჭიროებს განაცხადის განმეორებით წარმოდგენას.
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 3 ივნისის „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კულტურის

სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობების და დაფინანსების წესის შესახებ“ N7864 ბრძანება და ფორმულარები იხილეთ შემდეგ ბმულებზე:

https://drive.google.com/drive/folders/1uzC2KuPJdGKFQViPt8idPya664JN_Lur?fbclid=IwAR0nL5lCgw-T-CdUs5c8sp67zVD0u87-jRygZDrvcFQtyGg99Fzz9aEWhIk

https://drive.google.com/drive/folders/1xucBang_z-UWDMmIG1SBghqK2z4DLOvP?fbclid=IwAR1gyvV1Thr5tRADzTJPBvmuZzwLi4rTAhmHicGESJz7OmJTP7S1R32N-20